ინსტრუქცია

ტესტი ოთხი ნაწილისაგან შედგება:

(1) წაკითხულის გააზრება (70 წუთი)
(2) ანალიტიკური წერა (70 წუთი)
(3) ლოგიკური მსჯელობა (60 წუთი)
(4) რაოდენობრივი მსჯელობა (60 წუთი)

პირველ დღეს (8 ივლისს) ჩატარდება გამოცდა წაკითხულის გააზრებასა და ანალიტიკურ წერაში, ხოლო მეორე დღეს (10 ივლისს) — ლოგიკურ მსჯელობასა და რაოდენობრივ მსჯელობაში.

ტესტის (1), (3) და (4) ნაწილის ყოველ დავალებას თან ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. თითოეული დავალება ფასდება 1, 0 ან –0,2 ქულით.

სწორი პასუხის გაცემისთვის იწერება 1 ქულა.

თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული, იწერება 0 ქულა.

არასწორი პასუხისთვის <u>აკლდება</u> 0,2 ქულა (ანუ იწერება –0,2 ქულა).

თქვენ დაგირიგდათ ტესტურ დავალებათა რვეული და პასუხების ფურცელი. ტესტურ დავალებათა რვეულში დატოვებული ცარიელი ადგილი შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი შეხედულებისამებრ. გაითვალისწინეთ, ნამუშევრის ეს ნაწილი არ მოწმდება. თქვენი ნაშრომი შეფასდება მხოლოდ პასუხების ფურცლის მიხედვით.

პასუხები უნდა მონიშნოთ პასუხების ფურცელში ისე, როგორც ეს შემდეგ ნიმუშზეა ნაჩვენები პირველი დავალებისთვის. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გეძლევათ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა. ამის შემდეგ შეგიძლიათ მონიშნოთ თქვენთვის სასურველი სხვა უჯრა, როგორც ეს მე-3 დავალებისთვის არის ნაჩვენები, ან დატოვოთ დანარჩენი უჯრები ცარიელი, როგორც ეს მე-4 დავალებისთვის არის ნაჩვენები (ამ უკანასკნელ შემთხვევაში ითვლება, რომ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული და დავალება ფასდება 0 ქულით).

<u>პასუხების ფურცელი აუცილებლად უნდა შეავსოთ იმ კალმით, რომელიც დაგირიგდათ.</u>



გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება

სამუშაოდ გეძლევათ 1 სთ. 10 წთ.

მოცემულია სამი ტექსტი A, B და C. თითოეულს ერთვის შეკითხვები სავარაუდო პასუხებით. გაიაზრეთ ტექსტი და თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია ტექსტის მიხედვით.

ტექსტი A

როდესაც ევროპელები ახალ კონტინენტებსა და კუნძულებზე სახლდებოდნენ, ცდილობდნენ, ეს მხარე თავიანთი სამშობლოსთვის დაემსგავსებინათ და გვერდით მათთვის ნაცნობი მცენარეები და ცხოველები ჰყოლოდათ. ახალ ტერიტორიებზე შეყვანილ უცხო სახეობებს *ეგზოტიკურს, ინვაზიურს* ან *არაადგილობრივს* უწოდებენ. ინვაზიური სახეობების მიზეზით მრავალ კუნძულზე (ავსტრალიის შემთხვევაში, კონტინენტზეც კი) ეკოლოგიური წონასწორობა დაირღვა და ცოცხალ სამყაროს გადაშენების საფრთხე დაემუქრა.

ავსტრალიისთვის დამღუპველი აღმოჩნდა ევროპული ბოცვრის შეყვანა. მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ ლამის საუკუნენახევარია „ჯვაროსნული ლაშქრობა“ მიმდინარეობს, დღესაც კი ბოცვერი ავსტრალიის გადაუჭრელ პრობლემად რჩება. არადა, ყველაფერს ერთი ფერმერის თითქოსდა კეთილმა წამოწყებამ დაუდო სათავე. მდიდარმა მიწათმფლობელმა, მშობლიური ინგლისის ბუნება რომ გაეხსენებინა, 30 ბოცვერი ჩამოიყვანა და თავის მამულში გაუშვა. ექვსი წლის შემდეგ კი აღმოაჩინა, რომ ათასამდე ბოცვერი უკვე მონადირებული ჰყავდა და ათასობით კიდევ დაცუნცულებდა მის მამულში. პოპულაციის ასეთი სწრაფი ზრდის მიზეზი კი ის იყო, რომ ბოცვრების გამრავლებას არ ზღუდავდნენ მათი ევროპელი ბუნებრივი მტრები – მგლები, ტურები, მელიები. რაც შეეხება ადგილობრივ მტაცებლებსა და ბოცვრების ბალახისმჭამელ კონკურენტებს, მათ ფერმერები დევნიდნენ.

საბოლოოდ საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოცვრებმა კონტინენტის ბალახოვანი საფარი გადაჭამეს. ოდესღაც მდიდარი მეცხვარეები გაკოტრდნენ. მთავრობამ ბოცვრების მონადირებაზე ჯილდო დააწესა. მონადირეებმა მილიონობით ბოცვერი დახოცეს, მაგრამ უშედეგოდ. სასურველი შედეგი არ გამოიღო არც ბოცვრების ევროპელი მტრის – მელიის შემოყვანამ. მელიები მთელ კონტინენტზე გავრცელდნენ, მაგრამ ბოცვრების ნაცვლად მუსრი გაავლეს ადგილობრივ სახეობებს, რომლებიც შეუჩვეველნი იყვნენ ასეთი მტაცებლისაგან თავის დაცვას. ბოცვრებისგან თავდასაცავად 2000 მილის სიგრძის მავთულხლართის ღობეც კი გაავლეს, რათა ნახევარ კონტინენტზე მაინც შეენარჩუნებინათ მარცვლეულის ნათესები და საძოვრები. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი გამოსავალი აღმოჩნდა. ამჟამად ბოცვრებს ვირუსის საშუალებით ებრძვიან, მაგრამ შიშობენ, რომ ვირუსი ადგილობრივ, ენდემურ სახეობებზეც იმოქმედებს.

ინვაზიური სახეობების მიერ ბიომრავალფეროვნების განადგურების კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს რუსეთიდან საქართველოში ტელეუტური ციყვის შემოყვანის ისტორია, რომელიც ბორჯომის ხეობაში გაუშვეს, როგორც ძვირფასი ბეწვის მომცემი ცხოველი. ის აქ დამკვიდრებულ სპარსულ ციყვზე გაცილებით დიდია, ამიტომ მან ადგილობრივი ციყვი ადვილად განდევნა და თანაც ძალიან კარგად გამრავლდა. ტელეუტური ციყვი კოდალებისა და ტყის სხვა ფრთოსნების ბუდეებს ანადგურებდა, რის გამოც მათი რაოდენობა ძალიან შემცირდა. კოდალები ისედაც გაჭირვებით არეგულირებდნენ ნაძვის დიდი ლაფანჭამიას რიცხოვნობას, ტელეუტური ციყვის „ხელშეწყობით“ კი საერთოდ ვეღარ შეაჩერეს ლაფანჭამია და უზარმაზარ ფართობზე ტყეები გახმა. რუსეთიდან შემოყვანილმა ციყვმა ვერც დაგეგმილი სარგებელი მოიტანა, ვინაიდან საქართველოს თბილი კლიმატური პირობების გამო ციყვის ბეწვმა ხარისხი დაკარგა.

თითოეული სახეობა ბუნებრივად ბინადრობს ისეთ გარემოში, რომელიც ევოლუციურად არის ჩამოყალიბებული და ამდენად დაბალანსებულია. ახალ გარემოში მოხვედრისას კი მასზე, შესაძლოა, აღარ იმოქმედოს ისეთმა შემზღუდველმა ფაქტორებმა, როგორიცაა მტაცებლები ან სხვადასხვა სახის დაავადებები. უცხო სახეობა ცდილობს, დაიმკვიდროს თავისი ადგილი, ანუ ეკოლოგიური ნიშა: თუ ნიშა ცარიელი დახვდა, ის წარმატებით იწყებს გამრავლებას, მაგრამ თუ დაკავებულია, ცდილობს, გააძევოს მასპინძელი. იმარჯვებს ის სახეობა, რომელიც უფრო ძლიერია. ძლიერი კი ყოველთვის არ ნიშნავს ფიზიკურად უფრო ღონიერს. სიძლიერე ხშირად იმაში გამოიხატება, რომ სახეობას შეუძლია უფრო მრავალფეროვანი საკვებით იკვებოს, სწრაფად გამრავლდეს, ან უფრო კარგად გაუძლოს მკაცრ კლიმატს. მაგრამ მთავარი მიზეზი არის ის, რომ მას ხშირად არ ჰყავს მტერი, რომელიც დაარეგულირებდა მის რიცხოვნობას, ე. ი. არ მისცემდა სახეობას ფართოდ გავრცელების საშუალებას.

1. რა არის ტექსტის მთავარი აზრი?

(ა) ინვაზიური სახეობები საფრთხეს უქმნიან ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას.

(ბ) ევროპული ბოცვერი ავსტრალიის გადაუჭრელ ეკოლოგიურ პრობლემად რჩება.

(გ) საქართველოში ტელეუტური ციყვის შემოყვანის ექსპერიმენტი წარუმატებელი აღმოჩნდა.

(დ) ბუნებაში თავისუფალ ეკოლოგიურ ნიშას უფრო ძლიერი სახეობა იკავებს.

(ე) ახალ გარემოში მოხვედრისას სახეობაზე ახალი შემზღუდველი ფაქტორები იწყებს ზემოქმედებას.

2. ტექსტის მიხედვით, რამ შეუწყო ხელი ბოცვრების გამრავლებას?

I. ახალ გარემოში ევროპელი ბუნებრივი მტრების არარსებობამ.
II. ფერმერების მიერ ადგილობრივი ბალახისმჭამელი კონკურენტებისა და მტაცებლების დევნამ.
III. ბოცვრების ფიზიკურმა სიძლიერემ და გამძლეობამ.

(ა) მხოლოდ I.

(ბ) მხოლოდ II.

(გ) მხოლოდ III.

(დ) მხოლოდ I და II.

(ე) მხოლოდ II და III.

3. ტექსტის მიხედვით, ბოცვრების წინააღმდეგ გამოყენებული რომელი მეთოდი შეიძლება იყოს ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის მიზეზი?

(ა) ბოცვრების დახოცვაზე ჯილდოს დაწესება.

(ბ) ბოცვრებისგან თავდასაცავად მავთულხლართის ღობის გავლება.

(გ) ევროპიდან ავსტრალიაში ბოცვრის ბუნებრივი მტრის, მელიის შემოყვანა.

(დ) ევროპიდან ავსტრალიაში ციყვის შემოყვანა.

(ე) ადგილობრივი ბალახისმჭამელი ცხოველების ხელოვნური გამრავლება.

4. რომელი აზრი <u>არ არის</u> მართებული ტექსტის მიხედვით?

(ა) ნაძვის დიდი ლაფანჭამიას რიცხოვნობის ზრდა ტყის დიდი ფართობის გახმობის მიზეზი გახდა.

(ბ) კოდალების რიცხოვნობის შემცირება ნაძვის დიდი ლაფანჭამიას რიცხოვნობის ზრდის მიზეზი გახდა.

(გ) ტელეუტური ციყვების გამრავლებამ კოდალების რიცხოვნობის შემცირება გამოიწვია.

(დ) ციყვის ახალი სახეობის გამრავლებამ სპარსული ციყვების რიცხოვნობის შემცირება გამოიწვია.

(ე) კოდალების რიცხოვნობის ზრდამ ტყის დიდი ფართობის გახმობა განაპირობა.

5. ავტორს ბოცვრისა და ტელეუტური ციყვის მაგალითები მოჰყავს:

(ა) უცხო სახეობების შემოყვანის გამო ბუნებრივი ეკოლოგიური ბალანსის რღვევის საჩვენებლად.

(ბ) ახალ გარემოში უცხო სახეობის ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემების საჩვენებლად.

(გ) ინვაზიის შედეგებთან ბრძოლის სხვადასხვა ხერხების წარმოსაჩენად.

(დ) ფიზიკურად უფრო დიდი სახეობის მიერ სუსტი მასპინძლის გაძევების საილუსტრაციოდ.

(ე) ორივე შემთხვევაში მსგავსი შემზღუდველი მექანიზმების არსებობის საილუსტრაციოდ.

6. ტექსტის მიხედვით, რომელია <u>ყველაზე მნიშვნელოვანი</u> მიზეზი, რომელიც განაპირობებს ახალი სახეობის მიერ ეკოლოგიური ნიშის დაკავებას?

(ა) მრავალფეროვანი საკვების ათვისების უნარი

(ბ) სწრაფად გამრავლების უნარი

(გ) მკაცრი კლიმატის მიმართ გამძლეობა

(დ) ბუნებრივი მტრის არარსებობა

(ე) ფიზიკური სიძლიერე

7. ტექსტის ბოლო აბზაცში

(ა) წამოჭრილია ახალი ვარაუდი ტექსტში გამოთქმულ ძირითად აზრთან დაკავშირებით.

(ბ) გაანალიზებული და შეჯამებულია ტექსტში განხილული მაგალითები.

(გ) მოყვანილია წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითი.

(დ) მოყვანილია ტექსტში გამოთქმული მოსაზრებების საპირისპირო არგუმენტი.

(ე) კრიტიკულად არის განხილული წინა აბზაცში გამოთქმული მოსაზრება.

ტექსტი B

I

კლასიკური ლიბერალიზმი ყველაზე ძველი ლიბერალური ტრადიციაა. მისი იდეები ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში განვითარდა. ამ განვითარების კულმინაცია კი მეცხრამეტე საუკუნე, ადრეული ინდუსტრიალიზმის ეპოქა იყო. ამიტომ კლასიკურ ლიბერალიზმს ზოგჯერ „მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალიზმსაც“ უწოდებენ. კლასიკური ლიბერალიზმი სხვადასხვა დოქტრინიდან და თეორიიდან იღებს სათავეს. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ბუნებრივი უფლებების თეორია. ბუნებრივ უფლებათა თეორეტიკოსებს შორის გამოირჩევიან XVII საუკუნეში მოღვაწე ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი და XVIII საუკუნის ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე თომას ჯეფერსონი.

II

უფლება, მარტივად რომ ვთქვათ, არის ნებართვა, რომელიც ეძლევა ადამიანს სხვა ადამიანებთან მიმართებაში სამოქმედოდ. თანამედროვე ლიბერალები ხშირად წარმოთქვამენ სიტყვას „უფლებები“ და მათ დაცვას მოითხოვენ. დღეს ბუნებრივ უფლებებს, საზოგადოდ, ადამიანის უფლებებს უწოდებენ.

III

ლოკისა და ჯეფერსონის აზრით, უფლებები „ბუნებრივია“, რადგან ისინი ბუნებამ ან ღმერთმა არგუნა ადამიანებს. ამ გაგებით, მათი წართმევა სრულიად დაუშვებელია. სწორედ ბუნებრივი უფლებების დაცვა ქმნის ძირეულ პირობებს ჭეშმარიტად ადამიანური არსებობისთვის. ჯონ ლოკი სამი სახის ბუნებრივ უფლებას განარჩევს: სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების. ჯეფერსონს საკუთრება არ მიაჩნია ბუნებრივ ან ღმერთისაგან ბოძებულ უფლებად. მისი აზრით, საკუთრების უფლება ადამიანმა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე შექმნა. ამიტომაც ამერიკის თავისუფლების დეკლარაციაში თომას ჯეფერსონი ბუნებრივ ანუ „განუყოფელ“ უფლებებად სიცოცხლეს, თავისუფლებას და ბედნიერებისკენ სწრაფვას ასახელებს.

IV

ცნობილია, რომ ლიბერალი ჯონ ლოკი ბუნებრივი უფლებების აქცენტირებით ავტორიტარულ მოაზროვნეს, თომას ჰობსს დაუპირისპირდა. თავიდან ჰობსიც და ლოკიც, არსებითად, ერთნაირად ფიქრობდნენ; ისინი მიიჩნევდნენ, რომ მთავრობის ფუნქციონირების საფუძველი მოქალაქეებთან დადებული „სოციალური კონტრაქტი“ უნდა იყოს. მოგვიანებით, ინგლისის სამოქალაქო ომის წლებში, ჰობსმა ლოკისთვის მიუღებელი პოზიცია დაიკავა: მან განაცხადა, რომ „საზოგადოებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დამყარება მხოლოდ ძლიერ ხელისუფლებას შეუძლია და, უმჯობესია, ეს მონარქია იყოს. მოქალაქემ მმართველობის ნებისმიერი ფორმა უნდა მიიღოს, რადგან თვით რეპრესიული მთავრობაც კი უკეთესია, ვიდრე საზოგადოება საერთოდ მთავრობის გარეშე“. შესაბამისად, ცხადი გახდა, რომ თომას ჰობსი წესრიგის საჭიროებას თავისუფლების სურვილზე მაღლა აყენებდა. ჰობსის საპირისპიროდ, ლოკი თვითნებური ან შეუზღუდავი მმართველობის აშკარა მოწინააღმდეგე იყო. ლოკის აზრით, მთავრობა სამი ძირითადი უფლების – სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების დაცვის მიზნით იქმნება; თუ სახელმწიფო ამ უფლებებს იცავს, მოქალაქეებმა მთავრობის კანონებს პატივი უნდა სცენ და დაემორჩილონ. იმ შემთხვევაში კი, თუ მთავრობა მოქალაქეთა უფლებებს არღვევს, ამ უკანასკნელთ უფლება აქვთ, აჯანყდნენ. ამით ლოკი XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციას ამართლებდა და 1688 წლის კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას მხარს უჭერდა. მომდევნო საუკუნეებშიც ლიბერალები ხშირად მიმართავდნენ ადამიანის უფლებების იდეას, ტირანული მმართველობის წინააღმდეგ მათი ამბოხი რომ გაემართლებინათ.

V

გარდა ამისა, ბუნებრივი უფლებების თეორიამ ლოკი შეზღუდული მმართველობის რწმენამდე მიიყვანა: მთავრობის ლეგიტიმური როლი სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების დაცვით შემოიზღვრება. ამიტომ მთავრობათა ფუნქციები საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისა და საკუთრების დაცვის, გარედან თავდასხმის შემთხვევაში მოქალაქეთა თავდაცვის უზრუნველყოფის „მინიმალურ“ ამოცანებს არ უნდა სცდებოდეს. სწორედ ამასვე ამბობდა თომას ჯეფერსონიც ერთი საუკუნის შემდეგ: „საუკეთესოა ის მმართველობა, რომელიც ყველაზე ნაკლებად მართავს“.

VI

ბუნებრივი უფლებების თეორიამ ლიბერალური აზროვნება გააღრმავა და ლიბერალურ იდეოლოგიაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია. ეს თეორია, უტილიტარიზმთან და ეკონომიკურ ლიბერალიზმთან ერთად, კლასიკური ლიბერალიზმის საფუძველს წარმოადგენს.

8. რა არის ტექსტის ავტორის ძირითადი მიზანი?

(ა) გაგვაცნოს ორი დიდი მოაზროვნის, ჯონ ლოკისა და თომას ჯეფერსონის მოღვაწეობა.

(ბ) წარმოაჩინოს თეორია, რომელიც კლასიკური ლიბერალიზმის ერთ-ერთ წყაროდ იქცა.

(გ) განმარტოს, რატომ ეწოდება კლასიკურ ლიბერალიზმს „მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალიზმი“.

(დ) განიხილოს ის ძირითადი თეორიები, რომლებიც თანამედროვე ლიბერალიზმს საფუძვლად დაედო.

(ე) გამოკვეთოს ჯონ ლოკისა და თომას ჰობსის შეხედულებები მმართველობისა და მთავრობის როლის შესახებ.

9. ჩამოთვლილთაგან რომელი <u>არ გამომდინარეობს</u> ტექსტიდან?

(ა) ჯონ ლოკი მიესალმებოდა XVII საუკუნის ინგლისში კონსტიტუციური მონარქიის დამყარებას.

(ბ) ბუნებრივი უფლებების თეორია ამერიკის თავისუფლების დეკლარაციაშიც აისახა.

(გ) მთავრობის ლეგიტიმური როლის შესახებ ჯონ ლოკსა და თომას ჰობსს განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ.

(დ) ლიბერალური იდეები მეცხრამეტე საუკუნეში, ადრეული ინდუსტრიალიზმის ეპოქაში აღმოცენდა.

(ე) უტილიტარიზმი და ეკონომიკური ლიბერალიზმი, როგორც დოქტრინები, XIX საუკუნეში უკვე არსებობდა.

10. ჩამოთვლილთაგან რომელი აზრია მართებული ჯონ ლოკისა და თომას ჯეფერსონის შეხედულებებთან მიმართებაში?

(ა) მმართველობისა და მთავრობის როლის შესახებ ლოკისა და ჯეფერსონის აზრი, არსებითად, ერთგვარი იყო.

(ბ) ლოკიც და ჯეფერსონიც მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ ძლიერ მთავრობას შეუძლია საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება და უსაფრთხოების დაცვა.

(გ) როგორც ლოკის, ისე ჯეფერსონის აზრით, საკუთრების უფლება, ღმერთისაგან ბოძებული უფლებებისაგან განსხვავებით, ადამიანმა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე შექმნა.

(დ) ბუნებრივი უფლებების შესახებ ლოკისა და ჯეფერსონის შეხედულებები სრულიად იდენტური იყო.

(ე) როგორც ლოკის, ისე ჯეფერსონის აზრით, ლიბერალური იდეოლოგიის საფუძველი უტილიტარიზმი და ეკონომიკური ლიბერალიზმია.

11. II აბზაცში ავტორი თანამედროვე ვითარებაზე ამახვილებს ყურადღებას. რა ფუნქცია აქვს ტექსტის ამ მონაკვეთს?

(ა) წარმოაჩინოს, რომ თანამედროვე ლიბერალები, ადრეული ლიბერალებისაგან განსხვავებით, ბუნებრივი უფლებების იდეას სრულიად სხვაგვარად გაიაზრებენ.

(ბ) მიგვანიშნოს, რომ ბუნებრივი უფლებების იდეა, არსებითად, შენარჩუნებულია თანამედროვე ეპოქაშიც.

(გ) დაგვანახოს, რომ ბუნებრივი უფლებების იდეა, XIX საუკუნისაგან განსხვავებით, თანამედროვე ეპოქაში გაცილებით მნიშვნელოვანი გახდა.

(დ) გამოკვეთოს სხვაობა ორ ცნებას – „ბუნებრივ უფლებებსა“ და „ადამიანის უფლებებს“ შორის.

(ე) ხაზი გაუსვას იმას, რომ თანამედროვე ლიბერალები ადამიანის უფლებების იდეას რევოლუციური გარდაქმნების გასამართლებლად იყენებენ.

12. ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება გამომდინარეობს ტექსტიდან?

(ა) დღეისათვის ლიბერალიზმი კაპიტალისტურ სამყაროში ყველაზე გაბატონებულ იდეოლოგიად იქცა.

(ბ) ადრეული ლიბერალები არ იყვნენ ერთიანნი საკითხში, თუ რას უნდა ნიშნავდეს ინდივიდისთვის სიცოცხლის უფლება.

(გ) თანამედროვე ლიბერალები, ადრეული ლიბერალებისაგან განსხვავებით, მთავრობას გაცილებით მეტ პასუხისმგებლობას აკისრებენ.

(დ) ლიბერალური იდეები ამერიკიდან დასავლეთ ევროპაში გავრცელდა.

(ე) ლიბერალური იდეები გამოყენებული იყო ძირეული, ზოგჯერ კი – რევოლუციური ცვლილებების განსახორციელებლად.

13. ტექსტის მიხედვით, ბუნებრივი უფლებების თეორია

(ა) ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მიერ მოქალაქეებთან სოციალური კონტრაქტის დადების მოთხოვნას.

(ბ) ავალდებულებს მოქალაქეებს ლეგიტიმური მთავრობის კანონების დაცვას.

(გ) უპირისპირდება უტილიტარიზმს, მაგრამ არ ეწინააღმდეგება ეკონომიკურ ლიბერალიზმს.

(დ) საფუძველს უმყარებს ე. წ. შეზღუდული მმართველობის იდეას.

(ე) ამართლებს მონარქიული მმართველობის უპირატესობას.

ტექსტი C

თანამედროვე ეპოქა მეცნიერების სწრაფი პროგრესით ხასიათდება. დაგროვებულია ცოდნის უზარმაზარი მარაგი, რომლის ზრდის ტემპი დღითიდღე მატულობს. დღეს მეცნიერებაში შეინიშნება ვიწრო სპეციალობებად დიფერენცირების გამოკვეთილი ტენდენცია. სპეციალიზაცია თავისთავად ზრდის შრომის ეფექტს, რადგან ამ დროს მეცნიერები ღრმად იჭრებიან კვლევის საგანში და მთელ თავიანთ შესაძლებლობებს ვიწრო სფეროში იყენებენ. წარმოვიდგინოთ ორი კაცი – ერთი მიწის ფართო მონაკვეთს თხრის, მეორე კი – ვიწრო ჭას. ცხადია, პირველი კაცის მიერ გათხრილი ორმო არ იქნება ისეთი ღრმა, როგორიც დროის იმავე მონაკვეთში მეორის მიერ ამოთხრილი ჭა.

ამავე დროს ჩვენი საუკუნე მოწმეა უდიდესი მეცნიერული მიღწევებისა, რომლებიც სწორედ დისციპლინათა შორის ბარიერების რღვევითა და სხვადასხვა სპეციალობის კვლევის ერთ მიმართულებად ინტეგრირებით არის განპირობებული. მრავალი მნიშვნელოვანი მიღწევა თანამედროვე მედიცინასა და ბიოლოგიაში ამ დარგებში ფიზიკასა და ქიმიაში დაგროვილი ცოდნის გამოყენების შედეგია. თავის მხრივ, მათემატიზაციამ, მათემატიკური მეთოდების დანერგვამ მრავალი აქამდე „არაზუსტი“ დარგი, როგორიცაა ეკონომიკა, გეოგრაფია და სხვ., თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა.

ინტეგრირებული ცოდნა შეიძლება გავიგოთ, როგორც დიდი ფაქტობრივი მასალის განზოგადების შედეგად მიღებული ურთიერთდაკავშირებული კანონებისა და დებულებების წესრიგი. ამგვარი წესრიგის შექმნა მეტად საშური საქმეა. დღეს ვიწრო სპეციალობების ფარგლებში ემპირიული ცოდნის დაგროვების ტემპი აშკარად წინ უსწრებს განზოგადებით ინტეგრირებული ცოდნის ორგანიზების ტემპს, რაც, თავის მხრივ, აბრკოლებს ამ დაგროვილი ცოდნის გამოყენებას საგანმანათლებლო მიზნებით.

მეორე ნაკლი მეცნიერების ვიწრო სპეციალობებად დანაწევრებისა არის ის, რომ ამით ფერხდება სამყაროს ერთიანობის აღქმა. ჭიდან, მოგეხსენებათ, სამყაროს მხოლოდ მცირე ნაგლეჯი მოჩანს და რაგინდ კარგი ასტრონომები არ უნდა ისხდნენ ღრმად გათხრილ ჭებში, ერთმანეთთან კომუნიკაციის გარეშე მეტად გაუჭირდებათ ცის ერთიანი სურათის წარმოდგენა. ამიტომ დღეს ცოდნის ინტეგრირების უპირატესობა აშკარაა.

ნებისმიერი საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა დაგროვილი ცოდნის თაობიდან თაობაზე გადაცემაა. განათლება, მეცნიერება და კულტურა სწორედ ამ ფუნქციის შესრულებას ემსახურება.

შეიძლება წარმოვიდგინოთ სქემა, თუ როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი თანამედროვე საზოგადოებაში:

- მეცნიერება ადგენს ახალ ფაქტებს და აგროვებს ცოდნას;
- თეორეტიკოსები ამ ცოდნას აზოგადებენ და აწესრიგებენ;
- განათლების მუშაკები და მეთოდისტები ამ ცოდნას აწესრიგებენ ისე, რომ ის სკოლისთვის შესაბამისი გახდეს; აგრეთვე, ამუშავებენ ამ ცოდნის გადაცემის ხერხებს;
- მასწავლებლები გადასცემენ ცოდნას მოსწავლეებს.

ფილოსოფოსები, სოციოლოგები და ფსიქოლოგები აკვირდებიან ამ პროცესს ყველა ეტაპზე და ავითარებენ თეორიებს ადამიანის წარმოდგენებზე სამყაროს შესახებ, ზოგ შემთხვევაში კი გავლენას ახდენენ ზემოთ აღწერილი ჯაჭვის სხვადასხვა საფეხურის მუშაობაზე.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სქემაში არის ცოდნის განზოგადებისა და ორგანიზების საფეხური, რაშიც თეორეტიკოსებს ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით. ამ საფეხურზე, უკვე ნახსენები პრობლემების გამო, რასაც მეცნიერებების ვიწრო სპეციალობებად დანაწევრება განაპირობებს, სერიოზული შეფერხება იგრძნობა. სასწავლო პროცესისათვის კი სწორედ ეს ეტაპია განმსაზღვრელი. ამიტომ აუცილებლად უნდა მოიძებნოს გზები ვიწრო სპეციალიზაციის თანამდევი პრობლემების დასაძლევად.

14. რა არის ამ ტექსტის მთავარი აზრი?

(ა) განათლება, მეცნიერება და კულტურა სხვადასხვა დარგში დაგროვებული ცოდნის თაობიდან თაობაში გადაცემას ემსახურება.

(ბ) მეცნიერული ცოდნის საგანმანათლებლო მიზნით გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა დარგში დაგროვებული ფაქტობრივი მასალის განზოგადება.

(გ) დაგროვებული ცოდნის ინტეგრირების შედეგად, „არაზუსტი“ მეცნიერებები წარმატებით იყენებენ ზუსტი მეცნიერებების მეთოდებს.

(დ) მეცნიერთა ვიწრო სპეციალიზაცია ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის განვითარებას.

(ე) დაგროვებული ცოდნის ინტეგრირება მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერების წინსვლის, ისე განათლების სისტემის განვითარებისათვის.

15. ტექსტის მიხედვით, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი ცოდნის გადაცემის პროცესში?

(ა) ცოდნის გადაცემის ახალი ხერხების შემუშავება.

(ბ) მეცნიერების მიერ ახალი ფაქტების დადგენა და ცოდნის დაგროვება.

(გ) ცოდნის ორგანიზება სკოლისათვის შესაბამისი ფორმით.

(დ) მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის ორგანიზება და განზოგადება.

(ე) მოსწავლისათვის ახალი ცოდნის გადაცემა.

16. ჩამოთვლილთაგან რომელი აზრი <u>არ დასტურდება</u> ტექსტში მეცნიერებების ვიწრო სპეციალობებად დანაწევრების შესახებ?

(ა) მეცნიერებების ვიწრო სპეციალობებად დანაწევრება ხელს უშლის მეცნიერული ცოდნის გამოყენებას საგანმანათლებლო მიზნით.

(ბ) მეცნიერებათა ვიწრო სპეციალობებად დანაწევრება ხელს უშლის დაგროვილი ცოდნის ინტეგრირებას სასწავლო პროცესში.

(გ) ვიწრო სპეციალობებად დანაწევრებულ მეცნიერებაში ფაქტობრივი ცოდნის დაგროვების პროცესი ჩამორჩება ინტეგრირებული ცოდნის ორგანიზების ტემპს.

(დ) მეცნიერებების ვიწრო სპეციალობებად დანაწევრება აფერხებს სამყაროს მთლიანობაში აღქმას.

(ე) ემპირიული ცოდნის დაგროვება ხდება ვიწრო სპეციალობებად დანაწევრებული მეცნიერებების ფარგლებში.

17. რა მიზნით აქვს ავტორს მოყვანილი მაგალითები მიწის მთხრელებისა და ჭაში მსხდომი ასტრონომების შესახებ?

(ა) პირველი მაგალითი წარმოაჩენს მეცნიერების ვიწრო სპეციალობებად დიფერენცირების უპირატესობას, მეორე კი – მის ნაკლს.

(ბ) ორივე მაგალითი აჩვენებს, რომ კომუნიკაციის გარეშე სამეცნიერო მუშაობა მოქცეულია ვიწრო ჩარჩოებში და, ძირითადად, უშედეგოა.

(გ) ორივე მაგალითი აჩვენებს, რომ მეცნიერული საქმიანობის ვიწრო სფეროში წარმართვა ეფექტურ შედეგს იძლევა.

(დ) ორივე მაგალითი აჩვენებს, რომ ვიწრო სპეციალობით მომუშავე მეცნიერი იზოლირებულ ჭაში მჯდომ ადამიანს ჰგავს.

(ე) პირველი მაგალითი წარმოაჩენს მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის ინტეგრირების უპირატესობას, მეორე კი – მის ნაკლს.

18. რა სპეციფიკური ამოცანა აკისრიათ ფილოსოფოსებს, ფსიქოლოგებსა და სოციოლოგებს ცოდნის ახალი თაობებისათვის გადაცემის პროცესში?

(ა) უზრუნველყონ ფაქტობრივი მასალის თეორიული განზოგადება.

(ბ) დაძლიონ მეცნიერულ დისციპლინათა შორის არსებული ბარიერები.

(გ) დაძლიონ ვიწრო სპეციალიზაციის თანამდევი პრობლემები.

(დ) ხელი შეუწყონ სხვადასხვა მეცნიერების განვითარებას.

(ე) განავითარონ თეორიები ადამიანის სამყაროზე წარმოდგენების შესახებ.

19. რას უწოდებს ავტორი „ვიწრო სპეციალიზაციის თანამდევ პრობლემებს“?

I. დაგროვილი ცოდნის საგანმანათლებლო პროცესში შეტანის შეფერხებას.
II. სამყაროს ვიწრო თვალსაწიერით ხედვას.
III. ემპირიული მასალის შეგროვების ტემპის ცვალებადობას.

(ა) მხოლოდ I

(ბ) მხოლოდ II

(გ) მხოლოდ III

(დ) მხოლოდ I და II

(ე) მხოლოდ I და III

20. ჩამოთვლილთაგან რომელი დასტურდება ტექსტში?

(ა) თანამედროვე ეპოქაში მათემატიზაციამ ფიზიკისა და ქიმიის მნიშვნელოვანი მიღწევები განაპირობა.

(ბ) მათემატიკური მეთოდების დანერგვამ ხელი შეუწყო თანამედროვე მედიცინასა და ბიოლოგიაში კვლევის ინტეგრირებას.

(გ) მათემატიკური მეთოდების დანერგვამ შესაძლებელი გახადა ეკონომიკასა და გეოგრაფიაში კვლევის ერთ მიმართულებად ინტეგრირება.

(დ) თანამედროვე ეპოქაში ისეთი დარგები, როგორიცაა ეკონომიკა და გეოგრაფია, თვისებრივად შეცვალა მათემატიზაციამ.

(ე) ისეთი დარგების მიღწევებმა, როგორიცაა ეკონომიკა, მათემატიკა თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა.